საქართველოს გენერალური პროკურატურა

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა

კვლევა მომზადებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

2022 წელი

სარჩევი

შესავალი - კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობა	3
კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება	5
კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი	8
არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები	9
განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური მდგომერეობა	11
განრიდებულ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობები	15
განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება	17
განრიდებულ არასრულწლოვანთა იზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქცევითი	19
თავისებურებები და მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება	19
ძალადობრივი ქცევის გამოცდილება განრიდებულ არასრულწლოვნებში	21
განრიდებულ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება თანატოლებსა და საზოგადოებასთან, ჩადენილი	23
დანაშაულებრივი ქმედების გაცნობიერება	23
კვლევის ძირითადი მიგნებები	25

შ ე ს ა ვ ა ლ ი - კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობა

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით საქართველოს პროკურატურა ყოველწლიურად ახორციელებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევას, რომელიც განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ შეფასებებში ასახულ ინფორმაციას ეფუძნება.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება. სისხლის სამართლის სფეროში მოხვედრილ არასრულწლოვანთა მიმართ სწორი მიდგომების განსაზღვრა დიდწილად არის დამოკიდებული არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ცოდნაზე.

კვლევის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად მიაწოდოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულ უწყებებსა და ყველა იმ პროფესიონალს, რომელსაც ბავშვთან ურთიერთობა აქვს, რადგან კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლებისა და ქცევის თავისებურებების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნებისთვის.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ისეთი მახასიათებლების ანალიზი, როგორიცა განვითარება, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, დესტრუქციული ქცევები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება, განათლება, ოჯახური გარემო, ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებისადმი და თანატოლებისადმი დამოკიდებულება, სამუშაო გამოცდილება, ოჯახის წევრთა დანაშაულებრივი საქმიანობა და ა.შ. ნამდვილად იძლევა არასრულწლოვანთა დანაშაულის შესაძლო გამომწვევი მიზეზების შესახებ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემისთვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სამართლებრივი მექანიზმების არსებობასთან ერთად, პრიორიტეტს არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა წარმოადგენს.

წარმოდგენილი კვლევა 2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა მონაცემების საფუძველზე, გეოგრაფიულ ჭრილში, მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით გვაწვდის ინფორმაციას არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ. კვლევაში ასევე გაანალიზებულია რა სახის დანაშაულებრივი ქცევაა ძირითადად დამახასიათებელი არასრულწლოვნებისთვის. 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში ასახული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი მოცემულია სტატისტიკური ინფორმაცია განრიდებულ არასრულწლოვანთა ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა კრიმინოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან გვაწვდის ინფორმაციას არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზების შესახებ.

კრიმინოლოგია - დანაშაულებრიობის, დანაშაულის მიზეზის, დანაშულის ჩამდენის პიროვნების, დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდების და საშუალებების, მისი ლიკვიდაციის პერსპექტივების შემსწავლელი იურიდიული მეცნიერების დარგია.[1] უფრო კონკრეტულად - კრიმინოლოგია ეს არის სხვადასხვა სოციოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული მეცნიერება, რომელიც ავლენს დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელ გარემოებებს. კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

კრიმინოლოგიის სფერო ცდილობს დანაშაულის გაგებას და ახსნას, რის შედეგადაც მის უარყოფითი გავლენის სიმძიმეს შეამცირებს. მედიცინის დარგის მსგავსად, იგი მოითხოვს პრევენციული და გამასწორებელი სტრატეგიების შემუშავებას და მათ ფართო მასშტაბით დანერგვას, საზოგადოებისა და კერძო სექტორის პრაქტიკულად ყველა ასპექტში და განზომილებაში.[2]

ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ მართლმსაჯულების სისტემა ფლობდეს ინფორმაციას და სიღრმისეულად აანალიზებდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლებს, რადგან არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები იძლევა შესაძლებლობას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ფარგლებში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას განისაზღვროს სწორი მიმართულებები და დასახული იქნეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებები.

საერთაშორისო სტანდარტები მხარს უჭერს აღნიშნული მიმართულებით კვლევების გაძლიერებას. გაეროს „სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ“ მიუთითებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა „დაგეგმილ და განხორციელებულ უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებული პროგრამების სანდო, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და პერიოდული მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისად შესწორების საფუძველზე.“[3] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კი ხაზს უსვამს, რომ „თანამშრომლობა უნდა იქნეს წახალისებული მეცნიერული კვლევის წარმოებასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენისა და არასრულწლოვნების დანაშაულის აღკვეთის შესახებ ეფექტიანი მიდგომების შემუშავებას და ასეთი კვლევის შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და შეფასებული.“[4]

[1] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.
[2] კრის ესკრიჯი. კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე//ჟურნალი „კრიმინოლოგი.“ თბილის, 2020. გვ.: 32
[3] გაერო-ს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), III თავი.
[4] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), წესი 64.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება

არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოგენული მდგომარეობის გაანალიზება მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონულ ჭრილში.

კრიმინოგენული მდგომარეობის ანალიზის საშუალებას კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობის ანალიზი იძლევა.

ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულში არასრულწლოვანთა დანაშაულის დონის განსაზღვრა შესაბამის უწყებებს რეგიონულ დონეზე პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს.

2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 614-ია. აღნიშნული მონაცემების რეგიონულ ჭრილში გაანალიზებისას ირკვევა, რომ არასრულწლოვანთა მიერ ყველაზე მეტი დანაშაული ჩადენილი იქნა თბილისში (34%). კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით რეგიონებში არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარისა (15%) და დასავლეთის (14%) რეგიონებში, ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთის (4%) რეგიონში ფიქსირდება.

არასრულწლოვანთა დანაშულის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში





კრიმინოგენული მდგომარეობის სრულყოფილად გაანალიზების მიზნით აუცილებელია არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი გაანალიზდეს მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაშიც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის შესაბამისად,[5] კვლევის მიზნებისთვის არასრულწლოვანთა დანაშაულის გავრცელების მაჩვენებლების გამოთვლა 1000 მოსახლესთან მიმართებით მოხდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 3 728.573-ია, შესაბამისად, **ქვეყნის მასშტაბით ყოველ 1000 მოსახლეზე არასრულწლოვანთა დანაშაულის კოეფიციენტი 0,16-ია.**

საკმაოდ მაღალია თბილისში არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე. კერძოდ, თბილისში არასრულწლოვანთა დანაშაულის კოეფიციენტი აღემატება ქვეყნის მასშტაბით არსებულ მონაცემს და 0,19-ს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით არასრულწლოვანთა დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებელი საკამოდ დაბალია, 1000 მოსახლესთან შეფარდებით ის თბილისის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს 0,18 კოეფიციენტით. 1000 მოსახლეზე არასრულწლოვანთა დანაშაულის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 0,11 კოეფიციენტი, კახეთის რეგიონში დაფიქსირდა.

რეგიონი	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა	მოსახლეობა (1000 კაცი)	არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე
აჭარა	86	462	0.19
დასავლეთი	94	510	0.18
სამცხე-ჯავახეთი	27	151.11	0.18
თბილისი	210	1202.731	0.17
შიდა ქართლი	58	347.5	0.17
სამეგრელო-ზემო სვანეთი	50	308.358	0.16
კახეთი	43	309.578	0.14
ქვემო ქართლი	46	437.347	0.11
სულ	614	3728.573	0.16



[5] [მოსახლეობა და დემოგრაფია - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)]

აღსანიშნავია, რომ 2020 წელთან შედარებით 2021 წელს 1000 მოსახლეზე არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი მცირედით მომატებულია, რაც საყურადღებოა. 2020 წელს 1000 მოსახლეზე შეფარდებით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით 0,15 გახლდათ.

2020 წელთან შედარებით, 2021 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლესთან შეფარდებით შემცირდა მხოლოდ თბილისში. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი 2020-2021 წლებში თანაბარია. ყველა სხვა რეგიონში კი 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 1000 მოსახლეზე ეს მაჩვენებელი მომატებულია. მნიშვნელოვანია ზრდის ტენდენცია შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე 2020-2021 წლებში



კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი

კრიმინოლოგები დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასაკს განიხილავენ. ასაკსა და დანაშაულს შორის ურთიერთმიმართება ერთ-ერთი უძველესია კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. „ასაკ-დანაშაულის მრუდის“ თეორიის თანახმად დანაშაული იზრდება ადრეულ მოზარდობაში, დაახლოებით 14 წლის ასაკში და პიკს აღწევს 20 წლის ასაკში და შემდეგ მცირდება,[6] რაც ფსიქოლოგთა შეფასებით ასაკობრივ განვითარების თავისებურებებს უკავშირდება. „ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები – პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა. „ფსიქოლოგები მიუთითებენ რა ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებზე, აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნები დევიაციური ქცევისკენ მიდრეკილები უფრო ადრეულ ასაკში არიან და ასაკის მატებასთან ერთად ქრება ანტისოციალური ქცევისადმი მიდრეკილება. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ადრეულ ასაკში დანაშაულის გამოვლენისას სწორი ჩარევის შედეგად სრულწლოვნების ასაკის მიღწევასთან ერთად ქრება დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილება.[7]

2021 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მონაცემების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში სწორედ იმას ადასტურებს, რომ 14 წლიდან 18 წლამდე ასაკობრივ პერიოდში დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილება მზარდია.

2021 წლის მონაცემების მიხედვით 17 წლის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული 4-ჯერ აღემატება არასრულწლოვანთა მიერ 14 წლის ასაკში დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელს.

2021 წლის მონაცემების მიხედვით გამოკვეთილი ტენდენცია 2019-2020 წლებში არსებული მაჩვენებლების მსგავსია.



[6] Michael Rocque,Chad Posick,Justin Hoyle. Michael Rocque,Chad Posick,Justin Hoyle. 2015// Age and Crime - Rocque - - Major Reference Works - Wiley Online Library
[7] https://www.nij.gov/topics/crime/Pages/delinquency-to-adult-offending.aspx

არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები

არასრულწლოვნებში ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები წარმოადგენს. 2021 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა 71.8%-ს სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. დანაშაულის ობიექტის შესახებ ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ძირითადი ნაწილი სავაჭრო ობიექტებშია ჩადენილი და ყველაზე ხშირად არასრულწლოვანთა მიერ ტანსაცმლის და ტკბილეულის ფარულ დაუფლებას აქვს ადგილი. გვხვდება აგრეთვე ალკოჰოლური სასმელისა და სიგარეტის ფარულად დაუფლების შემთხვევებიც.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები



2021 წლის მონაცემების მიხედვით მართალია ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პროცენტული ხვედრითი წილი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებში მხოლოდ 15.8%-ია, მაგრამ ყურადსაღებია, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემდეგ ის მეორე ადგილს იკავებს. ამასთან, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული 2020 წელთან შედარებით გაზრდილია. 2020 წელს ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ხვედრითი წილი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობის 12,8% გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ 14-15 წლის არასრულწლოვნებთან შედარებით 16-17 წლის მოზარდებში დანაშაულის მატების ზოგადი ტენდენცია ცალკეულ დანაშაულებთან მიმართებაშიც შენარჩუნებულია, რაც ცალსახად ჩანს ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან:

დანაშაულის სახე	ასაკი	რაოდენობა
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	14 წლის	40
	15 წლის	94
	16 წლის	120
	17 წლის	187
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღდმეგ	14 წლის	14
	15 წლის	14
	16 წლის	31
	17 წლის	38
ნარკოტიკული დანაშაული	15 წლის	1
	16 წლის	3
	17 წლის	16
სატრანსპორტო დანაშაული	16 წლის	4
	17 წლის	8
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	15 წლის	2
	16 წლის	7
	17 წლის	1
დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	1
	16 წლის	4
	17 წლის	1
დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	1
	16 წლის	1
	17 წლის	2
დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	17 წლის	4
დანაშაულის სიცოცხლის წინააღმდეგ	14 წლის	2
	16 წლის	1
	17 წლის	1
დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ	17 წლის	3
დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	14 წლის	1
	15 წლის	1
	16 წლის	1
კიბერდანაშაული	16 წლის	1
	17 წლის	1
დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ	17 წლის	1
ტერორიზმი	14 წლის	1
დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ	17 წლის	1
დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში	17 წლის	1
დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ	14 წლის	1
დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ	17 წლის	1

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური მდგომარეობა

დანაშაულის გამომწვევი ფაქტორებიდან, ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც კვლევისას დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ, არის არასრულწლოვანთა ოჯახური გარემო და ბავშვების ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რადგან ბავშვებისა და მოზარდების ოჯახთან ურთიერთობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ანტისოციალური ქცევის განვითარებასა და დანაშაულის ჩადენაზე.[8] სპეციალისტები ოჯახს ბავშვის განვითარებისთვის „კრიტიკულ" ელემენტად და მისი შემდგომი დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილების განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილავენ.[9]

კრიმინოლოგთა აზრით „ადამიანი პიროვნული განვითარების პროცესში ოჯახიდან იღებს მნიშვნელოვან იმპულსებს. ოჯახის მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზე, ოჯახურ ატმოსფეროზე. ოჯახს მრავალი ფუნქცია და მოვალეობა აკისრია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ხშირად ოჯახს უჭირს ყველა ამ ვალდებულების შესრულება, შედეგად კი ვიღებთ კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებს. ოჯახის სტრუქტურა და ფუნქციონირება, რაც გულისხმობს დამოკიდებულებას ოჯახის წევრებს შორის, არის ოჯახთან დაკავშირებული ის ორი ძირითადი კატეგორია, რაც გავლენას ახდენს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევაზე. მიუთითებენ იმასაც, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო მშობლებთან ურთიერთობა, არამედ ოჯახის შემადგენლობაც, არასრული ოჯახის ფენომენი და ა.შ."[10] არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზების ანალიზისას ფსიქოლოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ მოზარდთა დანაშაულის ზრდას შესაძლებელია ხელს უწყობდეს ოჯახის არასტაბილურობა, ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება. აგრესიით ხშირად გამოირჩევიან ბავშვები ასოციალური ოჯახებიდან. ზოგიერთი კვლევა ხედავს კავშირს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევასა და განქორწინებულ ოჯახს შორის. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი ქცევა ხშირია ისეთ მოზარდებში, რომელთაც ახალგაზრდა მშობლები ჰყავთ.[11] ამასთან, გარემო ხშირად ეხმარება არასრულწლოვანს ასაკობრივი თავისებურებებით გამოწვეული სირთულეების დაძლევაში. „მშობლებისა და ზრდასრულების გავლენა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის დანაშაულს. როდესაც მშობელი ან სხვა ზრდასრული ურთიერთობს ბავშვთან და აჩვენებს, რა არის მისაღები და რა ითვლება არასწორად, ბავშვი უფრო მეტად იქცევა ისე, რომ მისი ქცევა არ იყოს ანტისოციალური. ბავშვის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ღირებულებების მქონე ზრდასრულთან ურთიერთობა, რომელიც გავლენას მოახდენს მის ქმედებებზე და აჩვენებს განსხვავებას რა არის სწორი და რა არის არასწორი.[12]

[8] Institute of Medicine and National Research Council. 2001. Juvenile Crime, Juvenile Justice. Washington, DC: The National Academies Press. doi: https://doi.org/10.17226/9747

[9] Rosemary Kakonzi Mwangangi. The Role of Family in Dealing with Juvenile Delinquency. Juvenile Justice, University of Geneva, Geneva, Switzerland. 2019//https://www.scirp.org/journal/paperinformation.aspx?paperid=90991

[10] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო). თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი. 2016 წ. 22-24 გვ.

[11] http://phf.org.ge/ka/resources/mozardta-agresiuli-qceva/

[12] https://baysingerlaw.com/2018/03/factors-contributing-juvenile-delinquency/

მნიშვნელოვანია ოჯახური გარემოს ანალიზისას ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს: ჰყავთ თუ არა მშობლები არასრულწლოვნებს, ცხოვრობენ თუ არა ისინი მშობლებთან, რა არის მშობელთა არყოლის მიზეზი, ვისთან ერთად უწევთ ბავშვებს ცხოვრება, როგორია განქორწინების მაჩვენებელი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახებში, ხომ არ გვაქვს სახეზე ოჯახის წევრთა დანაშაულებრივი ქცევა და როგორია მათი დამოკიდებულება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ.

2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 84%-ს ორივე მშობელი ჰყავდა, 16%-ს ჰყავდა მხოლოდ 1 მშობელი, ხოლო 2%-ს არც ერთი მშობელი არ ჰყავდა.







- მიუხედავად იმისა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა 84%-ს ჰყავს ორივე მშობელი, ორივე მშობელთან ერთად არასრულწლოვანთა მხოლოდ 54,5%-ი ცხოვრობს.

- კანონთან კონფლიქტში მყოფი 3 არასრულწლოვანი ბავშვთა სახლის აღსაზრდელი იყო, 3 არასრულწლოვანი კრიზისული ცენტრის ბენეფიციარი გახლდათ, ხოლო 3 - მიმღებ ოჯახში იზრდებოდა.

არასრულწლოვანთა თანაცხოვრება მშობლებთან



- 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან 49 მოზარდის მშობლები განქორწინებულები იყვნენ, ანუ **მშობელთა განქორწინების მაჩვენებელმა 13% შეადგინა.**

- საყურადღებოა არასრულწლოვანთა მშობლების ემიგრაციის მაჩვენებელიც. 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან **69 არასრულწლოვნის (19%) ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ იმყოფება, საიდანაც 7 არასრულწლოვნის ორივე მშობელი საზღვარგარეთაა, 36 არასრულწლოვნის დედადა 26 არასრულწლოვნის მამა იმყოფება საზღვარგარეთ.**

ზემოთ უკვე აღინიშნა მრავალშვილიან ოჯახებში გაზრდილ ბავშვთა მიმართ არსებული შესაძლო რისკფაქტორების შესახებ, შესაბამისად გაანალიზდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დედმამიშვილის ყოლისა და მათთან თანაცხოვრების შესახებ ინფორმაციაც.

2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების მხოლოდ 7% (25) მიეკუთვნებოდა მრავალშვილიან ოჯახს (4 და მეტი ბავშვი).

67 (18%) არასრულწლოვანს საერთოდ არ ჰყავდა დედმამიშვილი, 46%-ს (166) კი ჰყავდა მხოლოდ 1 დედმამიშვილი.

დედმამიშვილთა ყოლის ფაქტი



296 არასრულწლოვნიდან 12% (35) არ ცხოვრობს დედმამიშვილთან, 37% (110) ცხოვრობს ძმასთან, 28% (83) არასრულწლოვანი ცხოვრობს რამდენიმე დედმამიშვილთან, ხოლო 23% (68) ცხოვრობს დასთან.

დედმამიშვილებთან თანაცხოვრება



❖ 363 არასრულწლოვნიდან არასრულწლოვნის **ოჯახის წევრების ნასამართლობის ფაქტი 65 შემთხვევაში (18%) დაფიქსირდა,** საიდანაც 3 შემთხვევაში ნასამართლევი იყო არასრულწლოვნის დედა, 36 შემთხვევაში - მამა, 25 შემთხვევაში ნასამართლევი იყო ოჯახის სხვა წევრი, ხოლო 1 შემთხვევაში - არასრულწლოვნის მამა და ასევე ოჯახის სხვა წევრი.

❖ განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების დამოკიდებულება არასრულწლოვნის ქცევის მიმართ 28 (8%) შემთხვევაში ნეიტრალური იყო, 1 შემთხვევაში არასრულწლოვნის დანაშაულებრივი ქცევის შესახებ ინფორმაცია ოჯახის წევრებისთვის უცნობი იყო, ხოლო 334 შემთხვევაში ოჯახის წევრების მხრიდან არასრულწლოვნის ქცევა უარყოფითად იქნა შეფასებული.

განრიდებულ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობები

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ძალიან დაბალი, კერძოდ 4%-ია იმ ოჯახების რიცხვი, რომელთაც თავიანთი შემოსავლით ძირითად საჭიროებებთან ერთად დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც შეუძლიათ. მხოლოდ ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ოჯახის შემოსავალი საკმარისი იყო 44% შემთხვევაში, განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა 45% შემთხვევაში, ხოლო 7% შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც არ იყო საკმარისი.

არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა



საინტერესოა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზებაც. უნდა აღინიშნოს რომ სიტუაცია ზოგადი მაჩვენებლის მსგავსია. საინტერესოა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთა შემოსავალი საკმარისი ოჯახის ყველა ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარისია 2%-ით აღემატება იმავე კატეგორიის ოჯახების ზოგად მაჩვენებელს.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის საერთო მაჩვენებლის შეფარდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობის მაჩვენებლთან



- საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის ანალიზისას გაირკვა, რომ არასრულწლოვანთა ოჯახების 80,72%-ს (293 არასრულწლოვანი) საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ფართი. არასრულწლოვანთა ოჯახების გარკვეულ ნაწილს ცხოვრება დაქირავებულ ფართებში უწევთ. ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული მონაცემების თანახმად 363 არასრულწლოვნიდან 8 არასრულწლოვანი ცხოვრობდა თავშესაფარში.

- 10 შემთხვევაში არასრულწლოვნის საცხოვრებელი ფართი იყო ავარიულ მდგომარეობაში, ხოლო სანიტარული პირობები არადამაკმაყოფილებელი იყო 9 შემთხვევაში.

- სხვადასხვა სახის არასამთავრობო ან სამთავრობო დახმარების პროგრამაში 363 განრიდებული არასრულწლოვნიდან ჩართული იყო 15 არასრულწლოვნის ოჯახი.

- მშობელთა დასაქმების მაჩვენებლის ანალიზის შედეგები ასეთია: 34% შემთხვევაში (363 არასრულწლოვნიდან 122 არასრულწლოვნის) დასაქმებულია არასრულწლოვანთა ორივე მშობელი, თუმცა მათგან 31% შემთხვევაში ორივე ან ერთ-ერთი მშობელი ემიგრაციაში იმყოფება. 21% შემთხვევაში დასაქმებულია მხოლოდ დედა (363 არასრულწლოვნიდან 76 არასრულწლოვნის), საიდანაც 18% იმყოფება ემიგრაციაში. 26% შემთხვევაში დასაქმებულია მხოლოდ მამა (363 არასრულწლოვნიდან 76 არასრულწლოვნის), საიდანაც 11% ემიგრაციაშია.

განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განათლებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაანალიზება. მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, რამდენად დაკავებულები არიან არასრულწლოვნები ფორმალური განათლების მიღების მიღმა და როგორ მართავენ ისინი თავისუფალ დროს. აქვთ თუ არა სამუშაო გამოცდილება და აქვთ თუ არა მზაობა მომავალში განაგრძონ განათლების მიღება.

- 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 64% საჯარო სკოლაში იღებს საშუალო განათლებას (363-დან 233 არასრულწლოვანი). აღნიშნული მაჩვენებელი საჯარო სკოლებში პრევენციული ღონისძიებების გააქტიურების აუცილებლობაზე მიუთითებს.

- საკმაოდ მაღალია იმ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომლებიც საერთოდ არ იღებენ განათლებას - 27% (98 არასრულწლოვანი), რაც ასევე საჭიროებს შესაბამის რეაგირებას.

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ძალიან მცირე ნაწილი - 2% (8 არასრულწლოვანი) კერძო სკოლაში სწავლობს, ხოლო 4% (13 არასრულწლოვანი) განათლებას პროფესიულ სასწავლებელში განაგრძობს.

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა 3-მა %-მა სისხლის სამართალწარმოების განხორციელების პროცესში დაასრულა საჯარო სკოლა და სწავლა უმაღლესი განათლების საფეხურზე გააგრძელა.



- საყურადღებოა ინფორმაცია იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომლებიც ფორმალურ განათლებაში საერთოდ არ იყვნენ ჩართული. განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული მონაცემების თანახმად: **კანონთან კონფლიქტში მყოფ 2 არასრულწლოვანს საერთოდ არ ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ურთიერთობის გამოცდილება, 2 არასრულწლოვანს მიღებული ჰქონდა მხოლოდ 2 კლასის, 2 არასრულწლოვანს - 3 კლასის, 1 არასრულწლოვანს 6 კლასის განათლება, 4-მა არასრულწლოვანმა სწავლა შეწყვიტა 7 კლასის განათლების მიღების შემდეგ, 1 არასრულწლოვანს 8 კლასის განათლების მიღების შემდეგ სწავლა არ გაუგრძელებია, 9 კლასის დასრულების შემდეგ სწავლა არ გაუგრძელებია 56 არასრულწლოვანს.**

- ინდივიდუალურ შეფასებებში აღნიშნული მონაცემების თანახმად, 254 არასრულწლოვნიდან, რომლებიც განათლებას საჯარო, კერძო სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში იღებენ, **94 არასრულწლოვანს ჰქონდა კარგი აკადემიური მოსწრება, 142-ს დამაკმაყოფილებელი, ხოლო 14-ს არადამაკმაყოფილებელი.** აღნიშნული არასრულწლოვნებიდან **114-ის ყოფაქცევა შეფასებულია როგორც კარგი, 129-ის - შეფასებულია დამაკმაყოფილებლად, ხოლო 11-ის არადამაკმაყოფილებლად.**

- მცირეა იმ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომელთაც აღენიშნებოდათ **წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები - ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას მხოლოდ 6 (2%) არასრულწლოვანთან გამოიკვეთა წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემა,** მაგრამ აღნიშნული მაინც ყურადსაღები გარემოებაა.

- მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ განრიდებულ **არასრულწლოვანთა 61% (363-დან 220 არასრულწლოვანი) არ არის დაკავებული დამატებითი აქტივობით.**

- **განრიდებულ არასრულწლოვანთა უმრავლესობა - 77% გამოთქვამს მზაობას სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით.** ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას სოციალური მუშაკის შეკითხვას, სურს თუ არა გააგრძელოს სწავლა მომავალში, 363 არასრულწლოვნიდან 278-მა არასრულწლოვანმა დადებითად უპასუხა.

- 363 არასრულწლოვნიდან სამუშაო გამოცდილება ჰქონდა 154 (43%) არასრულწლოვანს, საიდანაც 86 არასრულწლოვანი სწავლობს. ამდენად, **დასაქმებულ არასრულწლოვანთა 56%-ს უწევთ სწავლისა და სამუშაოს შეთავსება.**

განრიდებულ არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქცევითი თავისებურებები და მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება

დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ რისკფაქტორს არასრულწლოვანთა ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და განვითარების დონეც შესაძლოა წარმოადგენდეს. ავადმყოფობის ან შეზღუდული შესაძლებლობების გამო არასრულწლოვნები ხშირად ბულინგის მსხვერპლნი ხდებიან, რაც თავის მხრივ დანაშაულებრივი ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება.

ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული მონაცემების მიხედვით, 363 განრიდებული არასრულწლოვნიდან:

- 25-ს (7%) აღენიშნებოდა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, 6-ს (2%) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო 3 (1%) არასრულწლოვანს აღენიშნებოდა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.
- 44 (12%) არასრულწლოვანს აღენიშნებოდა ისეთი ქცევითი თავისებურებები, როგორიცაა პასიურობა, ჰიპერაქტიურობა, კონფლიქტური ან მაპროვოცირებელი ქცევა.
- 9 (2%) არასრულწლოვნის შეფასებისას გამოიკვეთა რომ მათ ახასიათებდათ დესტრუქციული ქცევები, კერძოდ თვითდაზიანების მცდელობა ჰქონდა 4 არასრულწლოვანს, თვითმკვლელობის მცდელობა - 2 არასრულწლოვანს, ხოლო 3 არასრულწლოვანს ჰქონდა როგორც თვითდაზიანების, ასევე თვითმკვლელობის მცდელობა.
- 30 (8%) არასრულწლოვნის შემთხვევაში სოციალურმა მუშაკმა დააფიქსირა, რომ არასრულწლოვნებს თვითკონტროლის უნარი არ აქვთ, ხოლო 92 (25%) არასრულწლოვნის მიმართ სოციალურმა მუშაკს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ქცევითი თავისებურებები



გარდა ზემოაღნიშნულსა, განრიდებულ არასრულწლოვანთა ნაწილის მიმართ სხვა სახის პრობლემებიც გამოიკვეთა, რომელიც აზროვნების, მეხსიერების, ყურადღებისა და თუ მეტყველების პრობლემებს უკავშირდება. მსგავსი სახის სირთულეები გამოიკვეთა 45 (12%) არასრულწლოვნის მიმართ.

სხვა ქცევითი თავისებურებები



განრიდებულ არასრულწლოვნებში გამოიკვეთა სხვადასხვა მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილებაც. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 10% დაფიქსირდა ალკოჰოლზე დამოკიდებულება, განრიდებულ არასრულწლოვანთა 7% დამოკიდებული გახლდათ ნარკოტიკულ საშუალებებზე, 7% - კომპიუტერულ თამაშებზე, ხოლო 3% - აზარტულ თამაშებზე.

არასრულწლოვანთა დამოკიდებულება მავნე ჩვევებზე

ძალადობრივი ქცევის გამოცდილება განრიდებულ არასრულწლოვნებში

ძალადობის მსხვერპლებში ძალადობრივი დანაშაულისაკენ მიდრეკილების მაღალ მაჩვენებელზეც ღიად მიუთითებენ სპეციალისტები. ბუნებრივია, რომ ძალადობა ოჯახში, სკოლასა თუ იმ გარემოში, სადაც მოზარდი ცხოვრობს, დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებასა და დანაშაულის ჩადენაზე, რადგან ძალადობა ბავშვისთვის მატრავმირებელი ქცევაა. ძალადობას ყოველთვის თან ახლავს პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით ან სექსუალური ექსპლუატაციით.[13]

არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასებისას სოციალურმა მუშაკმა დაადგინა განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ჩადენის შემთხვევებიც. კერძოდ, მონაცემების ანალიზით ირკვევა რომ 62 (17%) არასრულწლოვნის მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობას, 10 (3%) არასრულწლოვნის მიმართ არსებობს ძალადობის შესახებ ეჭვი, ხოლო 291 (80%) არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები



არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შესახებ მონაცემები ძალადობის სახის მიხედვით



[13] http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze/

თავად არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებთან მიმართებით კი გამოიკვეთა შემდეგი:

363 არასრულწლოვნიდან 276-ს (76%) არ ჰქონდა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, ხოლო 87 (24%) არასრულწლოვანს ჰქონდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება.

არასრულწლოვანთა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება



არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შესახებ მონაცემები ძალადობის სახის მიხედვით



განრიდებულ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება თანატოლებისა და საზოგადოების მიმართ, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გაცნობიერება

არასრულწლოვანთა დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ და თანატოლებთან სწორი ურთიერთობები სოციუმში მათ ეფექტიან ინტეგრაციას განაპირობებს. არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი მიზეზი შესაძლებელია საზოგადოებასთან მათი გაუცხოება გახდეს. არასრულწლოვნები ხშირად საზოგადოებისგან და თანატოლებისგან გარიყულად გრძნობენ თავს, მათი დანაშაულებრივი ქცევა კი პროტესტის გამოხატულებაა გარესამყაროს მიმართ, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია ართულებდეს დანაშაულის გაცნობიერებასაც.

არასრულწლოვნები, რომელთა პროტესტი გამოიხატება ანტისოციალურ ქცევაში, ხშირად მიუთითებენ, რომ მათი ქცევა სამართლიანია და უჭირთ პასუხისმგებლობის გააზრება.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არასრულწლოვნის შეხედულებას, თუ როგორ აფასებს ის საზოგადოების მისდამი დამოკიდებულებას, როგორია მისი ურთიერთობები თანატოლებთან. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემებიც გაანალიზდა კრიმინოლოგიური მიზნებისთვის.

არასრულწლოვანთა უმრავლესობა მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას დადებითად აფასებს.

363 არასრულწლოვნიდან:

- 346 (94%) არასრულწლოვანი ფიქრობს, რომ საზოგადოება მის მიმართ დადებითადაა განწყობილი. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ არ უგრძვნიათ საზოგადოებისგან ნეგატიური განწყობები;
- 22 (6%) არასრულწლოვნის განმარტებით ისინი ნეიტრალურად აფასებენ საზოგადოების მათდამი დამოკიდებულებას.

ინდივიდუალური შეფასების განხორციელების ეტაპზე არასრულწლოვანთა უმრავლესობა არ ასახელებს თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემებს და თანატოლებთან კომუნიკაციას დადებითად აფასებს.

263 არასრულწლოვნიდან თანატოლებთან კომუნიკაციას აფასებს:

- 339 (93%) არასრულწლოვანი - დადებითად;
- 21 (6%) არასრულწლოვანი - ნეიტრალურად;
- 3 (1%) არასრულწლოვანი - უარყოფითად.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი მიზნებისთვის ყველა განრიდებულმა არასრულწლოვანმა აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა ნაწილს უჭირს ჩადენილი ქმედების ბოლომდე გაცნობიერება და საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღება. არასრულწლოვანთა ნაწილმა სოციალურ მუშაკთან განაცხადა, რომ ადასტურებს მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტს, მაგრამ საკუთარ ქმედებას დანაშაულად ნაწილობრივ ან საერთოდ არ მიიჩნევს. მაგალითად, არასრულწლოვანი ადასტურებს მის მიერ ქურდობის ჩადენას, მაგრამ აცხადებს, რომ ერთი ნივთის მოპარვა დიდ სუპერმარკეტს ვერ დააზარალებდა.

363 არასრულწლოვნიდან ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას სოციალურ მუშაკთან ინტერვიუს დროს:

- 126-მა (35%) არასრულწლოვანმა განაცხადა, რომ მხოლოდ ნაწილობრივ მიიჩნევს საკუთარ ქმედებას დანაშაულად;
- 6-მა (1%) არასრულწლოვანმა კი მიუთითა რომ საკუთარი ქმედება დანაშაულად საერთოდ არ მიაჩნია.

პასუხისმგებლობის გაცნობიერებასთან მიმართებაში, კი 363 არასრულწლოვნიდან:

- 104-მა (29%) არასრულწლოვანმა განაცხადა, რომ მხოლოდ ნაწილობრივ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულზე;
- 7-მა (2%) არასრულწლოვანმა კი მიუთითა რომ საერთოდ არ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ ქმედებაზე.

ეს მაჩვენებელი ცალსახად მიუთითებს, რომ მოზარდებში უნდა დაიგეგმოს ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც გაზრდის ცნობიერებას დანაშაულის, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით გამოწვეული შედეგების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სექტორმა გაზარდოს მოზარდების მიერ პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობები.

კვლევის ძირითადი მიგნებები

2021 წლის მონაცემების საფუძველზე განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ კვლევის საფუძველზე გამოკვეთილი ტენდენციები არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანი დაგეგმვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა, თუმცა კვლევის შედეგებით გამოკვეთილი საკითხები ცდება მართლმსაჯულების სფეროს და არასრულწლოვნებთან შემხებლობაში მყოფი უწყებების კოორდინირებული საქმიანობის აუცილებლობაზე მიუთითებს, განსაკუთრებით საგანმანათლებლო, სოციალური და პრევენციული მიმართულებით.

არასრულწლოვანთა დანაშაულის გეოგრაფიული გადანაწილება:

- 2021 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისში (34%).
- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით 2021 წელს რეგიონებს შორის არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარისა (15%) და დასავლეთის (14%) რეგიონში, ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთის (4%) რეგიონში ფიქსირდება.
- ქვეყნის მასშტაბით, ყოველ 1000 მოსახლეზე არასრულწლოვანთა დანაშაულის კოეფიციენტი 0,16-ია. თბილისში 1000 მოსახლეზე არასრულწლოვანთა დანაშაულის კოეფიციენტი 0,17-ს წარმოადგენს. რეგიონებში ყოველ 1000 მოსახლესთან შეფარდებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 0,17 აჭარის რეგიონში დაფიქსირდა. არასრულწლოვანთა დანაშაულის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 0,11 დაფიქსირდა ქვემო ქართლის რეგიონში;
- 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლესთან შეფარდებით შემცირდა მხოლოდ თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი 2020-2021 წლებში თანაბარია. ყველა სხვა რეგიონში კი 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი მომატებულია. მნიშვნელოვანია ზრდის ტენდენცია შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი:

- 2021 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მონაცემების ანალიზი ასაკობრივ ჭრილში ადასტურებს, რომ 14 წლიდან 18 წლამდე ასაკობრივ პერიოდში დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილება მზარდია;

- 2021 წლის მონაცემების მიხედვით 17 წლის არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული 4-ჯერ აღემატება 14 წლის ასაკში არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელს.

არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები:

- 2021 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა 71.8%-ს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი;
- საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ძირითადი ნაწილი სავაჭრო ობიექტებშია ჩადენილი და ყველაზე ხშირად ადგილი აქვს არასრულწლოვანთა მიერ ტანსაცმლის და ტკბილეულის ფარულ დაუფლებას;
- 2021 წლის მონაცემების მიხედვით ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ხვედრითი წილი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებში მხოლოდ 15.8%-ია.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა:

- 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 84%-ს ორივე მშობელი ჰყავდა, 16%-ს მხოლოდ 1 მშობელი, ხოლო 2%-ს არც ერთი მშობელი არ ჰყავდა;
- ორივე მშობელთან ერთად არასრულწლოვანთა მხოლოდ 54,5% ცხოვრობს;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 13% განქორწინებული ოჯახებიდანაა;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 19%-ის ორივე ან ერთ-ერთი მშობელი ემიგრაციაშია;
- 363 არასრულწლოვნიდან არასრულწლოვნის ოჯახის წევრების ნასამართლობის ფაქტი 65 შემთხვევაში (18%) დაფიქსირდა;

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა:

- დაბალია იმ ოჯახების მაჩვენებელი, რომელთაც ძირითადი საჭიროების გარდა დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლიათ. ეს მაჩვენებელი 4%-ს წარმოადგენს. ოჯახის ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ოჯახის შემოსავალი საკმარისი იყო 44% შემთხვევაში. განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი 45% შემთხვევაში მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა, ხოლო 7% შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც არ იყო საკმარისი;

- ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული მონაცემების თანახმად 363 არასრულწლოვნიდან თავშესაფარში ცხოვრობდა 8 არასრულწლოვანი;
- 363 განრიდებული არასრულწლოვნიდან სხვადასხვა სახის არასამთავრობო ან სამთავრობო დახმარების პროგრამაში 15 არასრულწლოვნის ოჯახი გახლდათ ჩართული.

განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება:

- 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 64% საშუალო განათლებას იღებს საჯარო სკოლაში, 4% - პროფესიულ სასწავლებელში, 2% - კერძო სკოლაში;
- 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 27% საერთოდ არ იღებს განათლებას;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა უმრავლესობა - 77% გამოთქვამს მზაობას სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით;
- სამუშაო გამოცდილება ჰქონდა განრიდებულ არასრულწლოვანთა 43%-ს, საიდანაც არასრულწლოვანთა 56%-ს სწავლისა და სამუშაოს შეთავსება უწევთ.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ჯანმრთელობა, ქცევითი თავისებურებები და მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება:

- 25 არასრულწლოვანს (7%) ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღენიშნებოდა, 6-ს (2%) ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო 3-ს (1%) აღენიშნებოდა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 12%-ს აღენიშნებოდა ისეთი ქცევითი თავისებურებები, როგორიცაა ჰიპერაქტიურობა, პასიურობა, კონფლიქტური, მაპროვოცირებელი ან სხვაგვარი ქცევა;
- დესტრუქციული ქცევა გამოვლინდა არასრულწლოვანთა 2%-ში (თვითდაზიანება, თვითმკვლელობის მცდელობა);
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 8%-ის მიმართ სოციალურმა მუშაკმა მიუთითა რომ არ აქვთ თვითკონტროლის უნარი, ხოლო 25%-ის მიმართ აღნიშნა თვითკონტროლის უნარის შესაძლო დარღვევის შესახებ;
- ისეთი ქცევითი პრობლემები როგორიცაა აზროვნების, მეხსიერების, ყურადღებისა და თუ მეტყველების სირთულეები არასრულწლოვანთა 12%-ში გამოიკვეთა;
- მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულება აღინიშნა არასრულწლოვანთა 27%-ში.

ძალადობრივი ქცევის გამოცდილება არასრულწლოვნებში:

- განრიდებულ არასრულწლოვანთა 17% ძალადობის მსხვერპლი იყო, 3%-ის მიმართ კი არსებობს ძალადობრივი ქმედების განხორციელების ეჭვი;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 24%-ს თავად ჰქონდა განხორციელებული ძალადობრივი ქმედება.

თანატოლებთან და საზოგადოებასთან განრიდებულ არასრულწლოვანთა დამოკიდებულება და დანაშაულის გაცნობიერება:

- განრიდებულ არასრულწლოვანთა 94% მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას დადებითად აფასებს;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 93% თანატოლებთან ურთიერთობას დადებითად აფასებს;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 35% ჩადენილ ქმედებას მხოლოდ ნაწილობრივ მიიჩნევს დანაშაულად, 1%-ს კი მიაჩნია, რომ მათ მიერ ჩადენილი ქმედება საერთოდ არ წარმოადგენს დანაშაულს;
- განრიდებულ არასრულწლოვანთა 29% ჩადენილ ქმედებაზე პასუხისმგებლობას ნაწილობრივ პირებს, ხოლო 2% აცხადებს, რომ საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობას საერთოდ არ იღებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურა

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტი